

შპს „---არჯენი + ----427734865-----“,

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	2
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	4
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	
ძირითადი საშუალებები	
არამატერიალური აქტივები	

შპს "არჯენი + "

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	135,870.00	142,607.47
არამატერიალური აქტივები	5	466.22	621.55
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		136,336.22	143,229.02
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუქტ	6	240,387.25	245,407.25
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	728,428.00	830,648.00
მარაგები	8	359,627.00	62,607.00
წინასწარ გადახდილი გადასახადები		15,604.06	5,981.38
გაცემული სესხები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,344,046.31	1,144,643.63
სულ აქტივები		1,480,382.53	1,287,872.65
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		653,858.53	538,678.15
სულ კაპიტალი		653,858.53	538,678.15
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	127,367.00	91,412.50
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		127,367.00	91,412.50
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	584,720.00	593,480.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	114,437.00	15,215.00
საგადასახადო ვალდებულებები			49,087.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		699,157.00	657,782.00
სულ ვალდებულებები		826,524.00	749,194.50
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,480,382.53	1,287,872.65

დირექტორი



მთ ბუღალტერი

[Handwritten signature]

შპს "არჯენი +"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021
ამონაგები	<u>12</u>	3,925,009
თვითღირებულება	<u>13</u>	(3,730,345)
საერთო მოგება		194,664
სხვა შემოსავლები		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(33,240)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(2,804)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	(3,716)
საოპერაციო მოგება		154,904
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	(119,090)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(23,885)
მოგება დაბეგვრამდე		11,930
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		11,930
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		102966.12
მთლიანი სრული შემოსავალი		114,896

დირექტორი



მთ ბუღალტერი

შპს "არჯენი + "

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი		538,678.15	538,678.15
წმინდა მოგება	-	114,896	114,896.00
სხვა სრული შემოსავალი	-	284	284.38
პერიოდის სრული შემოსავალი	-		115,180.38
გაცემული დივიდენდი	-		0.00
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		0.00
2022 წლის 31 დეკემბერი	-	653,858.53	653,858.53

დირექტორი



მთ ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „---არჯენი +“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა --2017----- წლის --- 08 თებერვალი-- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 427734865

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და მაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, ასევე ხე-ტყის მასალით-- შპს „---არჯენი +-----“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 100 – მდე დასახელების საქონლის რეალიზაციას, . კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი წინამძარაულის # 5 . 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ავთანდილ არჯენიშვილი კომპანიის დირექტორია: ავთანდილ არჯენიშვილი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 0 ლარს.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	25- 30 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	10-15 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	7-12 წელი
ავტომობილები	9-15 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (15 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან (ქონების გადასახადი).

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ვაკავებთ და ვიხდით აგრეთვე საშემოსავლო გადასახადს შესაბამისი განაცემების მიხედვით და აგრეთვე ვიხდით მოგების გადასახადს დივიდენდის გაცემისას, არაეკონომიკური საქმიანობისათვის ხარჯის გაწევისას და საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების შემთხვევაში.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე წევს სხვა ხარჯებს რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო	რუბლი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.702	2.8844	3.68
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4,4031

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

ძირითადი საშუალებები

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	ჯამი
ლარში									
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	135,690		9,911		16,949		-	-	162,550
შესყიდვა			331		4,237				4,568
შენიშვნის კაპიტალიზირება									-
გასვლა									-
გაუფასურება									-
შიდა გეგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	135,690	-	10,241	-	21,186	-	-	-	167,118
დაგროვილი ცვეთა									
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	14,284		3,964		1,694				19,942
ცვეთის ხარჯი	7,142		2,045		2,119				11,305
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა									-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	21,426	-	6,009	-	3,813	-	-	-	31,247
სამალანსო ღირებულება									
2021 წლის ბოლოს	121,406	-	5,947	-	-	-	-	-	142,608
2022 წლის ბოლოს	114,264	-	4,232	-	17,374	-	-	-	135,870

შენიშვნა-5

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2021 წლის ბოლოს	932			932
შემოსავლა				-
გასვლა				-
2022 წლის ბოლოს	932	-	-	932

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2021 წლის ბოლოს	311			311
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	155			155
გასვლის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2022 წლის ბოლოს	466	-	-	466

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2021 წლის ბოლოს	621	-	-	621
2022 წლის ბოლოს	466	-	-	466

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა-8	მარაგები		
	ლარში	31/12/2022	31/12/2021
	საქონელი	359,627	62,607
	სხვა მარაგები		
		359,627	62,607
	Check	359,627	62,607
შენიშვნა-7	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
		31/12/2022	31/12/2021
	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	728,428	830,648
	სხვა მოთხოვნები		
		728,428	830,648
	Check	728,428	830,648
შენიშვნა-6	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
	ლარში	31/12/2022	31/12/2021
	ფული სალაროში	30	3
	ფული საბანკო ანგარიშებზე	240,358	245,405
		240,387	245,408
	Check	240,387	245,408
შენიშვნა-9	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
	ლარში	31/12/2022	31/12/2021
	სავაჭრო ვალდებულებები	19,791	5,346
	გადასახელი ხელფასები		625
	გადასახდელი პროცენტები	94,646	9,244
		114,437	15,215
	Check	114,437	15,215

6. სესხები

შენიშვნა-11 სესხები

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2022	31/12/2021	31/12/2022	31/12/2021
ბანკის სესხები			127,367	91,413
დაკავშირებული მხარეების სე	584,720	593,480		
ოვერდრაფტები				
სულ სესხები	584,720	593,480	127,367	91,413
	-	-	-	0

გრძელვადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 20 %

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები,
შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადების მოძრაობა	ფინანსური ინდიკატორები	დამოკიდებული მხარეები
სესხის ძირის დაფარვა		
სესხის აღება		
პრეცენტის დაფარვა		
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
პროცენტის დარიცხვა		
გადაფასება		
2022 წლის 31 დეკემბერი		

7. ამონაგები და ხარჯები

ამონაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა-12 ამონაგები

ლარი	31/12/2022	31/12/2021
საქონლის რეალიზაცია	3,925,009	3,115,702
	3,925,009	3,115,702
Check		

შენიშვნა-13 თვითღირებულება

ლარი	31/12/2022	31/12/2021
საქონლის თვითღირებულება	3,730,345	3,004,614
	3,730,345	3,004,614
Check		

შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31/12/2022	31/12/2021
საწვავის ხარჯი		
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	657	
რეალიზაციის დანახარჯები	2,147	
	2,804	-
Check		

შენიშვნა-15 სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2022	31/12/2021
სხვა ხარჯები	2,221	1,734
ქონების გადასახადი	1,495	1,403
	3,716	3,137
Check		

შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2022	31/12/2021
შრომის ანაზღაურება	7,500	9,375
ცვეთა და ამორტიზაცია	11,460	11,963
საკონსულტაციო ხარჯი		
ბანკის მომსახურება	12,035	2,544
იჯარის ხარჯი		2,553
მიწის ნაკვეთის ხარჯები		
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		
კომუნიკაციის ხარჯები	2,245	
	33,240	26,435
Check		

შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი

ლარი	31/12/2022	31/12/2021
ბანკის სესხის პროცენტი	111,947	6,766
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	7,143	100,462
	119,090	107,228
Check		

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს დამფუძნებელს ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ.

